

ს. კუნიძის



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

697.

ზ. 320 444

XII D

ექიზბაში

კომედია წარმოდგენს ძეგლს და სახლს დროებას


ორს მოქმედებაში

3

თხუზულება

დიმიტრი მეღვინეთსუცესოვისა

ფასი ორი რუბრი



თფილისი
ექვთიმე სელაძის სტამბა
1876

უფ. კალანდაძის და ამხანაგობის წიგნის
მაღაზიაში გუკიის სიდხედ, შირსოვეის
შენობაში, ისუილება ეოველგვარი ქარ-
თული წიგნები.

ე ქ ი მ ბ ა შ ი, თხზულება მეღვინეთ ხუცე-
სოვისა ფასი — — — — — ორი შაური
ლ ე ქ ს ნ ი, თქმულნი თ. ნ. ბარათაშვი-
ლისაგან ფასი — — — — — ერთი აბაზი.
ს ა ხ ე ლ მ ძ ლ ვ ა ნ ე ლ ო წიგნი მღვდლებ-
თათვის, შედგ. დ. ლამბაშიძისაგან ფასი სამი აბაზი.
ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი ანუ განმარტება დავითნისა,
ფასი — — — — — ექვსი შაური.
ბ ე ქ ა ნ ი ა ნ ი მეორედ დაბეჭდილი, ფასი ორი შაური.
ვ ა რ დ-ბ უ ლ ბ უ ლ ი ა ნ ი, თქმული თეი-
მურაზ მეფის პირველისაგან, ფასი ერთი შაური.
ქ ა ლ-ვ ა ქ ი ა ნ ი გამ. პირველი, ფასი ერთი შაური.
წ მ ი ნ დ ა მ ა რ ი ნ. ე ს წ ა მ ე ბ ა და ა ბ-
რ ა მ ი ა ნ ი, ფასი — — — — — ერთი შაური
ა რ ს ე ნ ა ს ლ ე ქ ს ი, შედგენილი პ. უმი-
კაშვილისაგან ფასი — — — — — ერთი შაური.
ყ მ ა წ ვ ი ლ ი ს ს ა რ კ ე ანუ წერა-
კითხვის სასწავლო წიგნი, შედგენილი
ანთიმოზ ჯულელისაგან, ფასი სამი შაური.

8.32.944



ექიმაბაში

Doc. 7
2

გომედიას წარმოადგენს ძველსა და ახლს დროებას

ორს მოქმედებაში


თხზულება

დიმიტრი მელუინეთხუცესოვისა

13.7.95
9



თფილისი
ექეთიმე ხელამის სტამბა
1876



183 1910. [ც. ხ.]

1919-1920

მოქმედნი პირნი:

დურქმიშას დიდგვარიძე, მდიდარი მეპატრონე.

ჭეთუკან იმისი ცოლი.

მისაკო ამათი შვილი.

ბიჭი, იმათი შინა მოსამსახურე.

ეჭიმბაში მოლლა ბანინაძე.

მუქენტი ფილიპის ბარანოვი, გადამდგარი პოლკოვნიკი

თანათინ ამისი ცოლი.


სოფიკო იმათი ქალი.

იმათი ლაქიები.

ამოწმებულია იმდროინდელი



ი. სოფიკო
1919 წლის
მარტის
მ. 21



ექიებაში

კომედია ორს მოქმედებაში წარმოდგება.

ამჟამელა პირველი.

სტენა წარმოადგენს დიდი სახლას ოთახს მდიდრულათ მორთულს; ერთს მხარეს ძველებურათ გრძელი ტახტი, ორსუას სალი გადაშლილი, — სუდ ქება — ჯეჯიმი აბრეშუმისა, ნაკერის დარებით, — საკერდის მუთაქა ოქრომკედის ფუნჯებით — ვისტებით; ძირს ტახტთან ქება — სალია გაშლილი. მეორეს მხარეს სკამები. დახატულ კედლებზე სხვა და სხვა სახეები, ვარაუიანი რამეებით, დიდი სარკე, წინ კაჯლის სტოლზე ორი კერცლის შანდლები.

გამოსვლა პირველი.

ღურმიუხან, მეთევან და მიხაკო

(ღურმიუხან დადის მძიმეთ დაფიქრებული, ქეთევან ტახტზე მოკეცილი მოწერილს წიგნს კითხულობს ჩუმთ, მიხაკო კედლებზე ბუზებს იჭერს და სუფელაობს).

მეთევან. ნეტა ვინ დაგვიყარა ეს ხმა, რა უბედურება არის ამდენი კორები!



ღურმიშხან. რაო, რასა გწერს, რომ აგრე უკ-
მაყოფილოთა ხარ?

მეთევან. მიხაკოს დანიშენასა მწერს და გვი-
ლოცამს ჩემი მული, არვიცი კი ვიზედ და ვისგან
გაუგონია ეს მოგონილი ტყუილი.

ღურმიშხან. რას გიკვირს, რა ურიგო იქნება?
მამი ჩემის საფლავის მზემა, მეც მაგ ფიქრში ვიყავი
ეხლა; მიხაკოს ცოლი უნდა შევერთო ექიმების მოწმო-
ბით, თავისი ბიძა ძალიან ცდილობს.

მეთევან. (განცვიფრებულა) ეუი ჩემ სიცოცხლე-
სა! ეგ რა საფიქრებელია, ვის ცოდვაში უნდა ჩად-
გეთ?! კაია მამი თქვენი საფლავის მხესა, ამას რა
გაეგება ცოლისა, გიყია და სულელი.

(მიხაკო მიეზარება და ჩაჭკრამს თავში მამას).

ღურმიშხან. (გაჭკვრებულა შეუტყვს) რას შერე-
ბი შე გიყო, სულელი.

მიხაკო. (სულელურის სიცილით) ბუზებს ვიჭერ
ბუზებს. პა პა პა...

ღურმიშხან. ჭკვიანათ იყავ, რა შენი საქმეა
ბუზების დაჭერა? სწორეთ დაჯექ დედაშენთან!

(მიხაკო ჩამოჯდება დედასთან, ადევენებს მამას თვა-
ლებს და ამთქნარებს სმით).

მეთევან. (აღუყრსით) როდი უნდა მამას ჩაჭკრა
თავში და გააჯაერო.

მიხაკო. (წამოუგორდება მუსლებზე გულადმა) ბუ-
ზი დაეჭირე, ბუზი, ბუზი, ბუზი....

დურმიშხან. ზუზებს კი ნუ დასდევ, გიყვარ-
დეს წერა კითხვის სწავლა, მებატონე ხარ, ცოლი
უნდა შეგერთო.

მიხაძე. არ ვიცი, არ ვიცი, არ ვიცი....

ძეთევან. (თავზე სკდს უსომს) მაშ იმდერე ხოლ-
მე, ითამაშე რიგიანათ, არაფინ დაგცინოს, სირცხვი-
ლია.

მიხაძე. (წამოხტება უკრამს ტაშს, თამაშობს სიმ-
ღრით).

ჩვენი ვენახის ბოლოსა

ქალი ჰკრეფდა ღოღოსა,

ქალო, ნუ ჰკრეფ ღოღოსა,

მოგავლევინ ბოლოსა! დილილ მეე დილილ მეე...
(დაუჯლის ბუქნას, გაკარდვბა გარეთ. დურმიშხან დადის
თავის ქიჯით).

დურმიშხან. ჰაი, ჰჰი! ეჰ, ოჯახი რომ გაუბე-
დურდება, —სამართლათ იტყვიან, —სახლი უარეს-
თაო. სამი ძმის წილობა ამ სულელს დარჩა, ეს
არის ჩემი მემკვიდრე.

ძეთევან. მაგას რათბრძანებ, ქალებიც შვილე-
ბი არ არიან? ისინი ხომ კარგები გყვანან, კურთხე-
ულ არს სახელი მღეთისა, გუოს რათ გაიტეხთ რაო?

დურმიშხან. მართალია, მაგრამ იმათით სხვა
გვარები უნდა შემოვიდნენ ჩემს საგვარეულოში;
მე ეს ფიქრი დიდათ მაწუხებს. რამდენს საუკუნე-
ებს გაუელია და ჩემს წინაპარ მამაპაპებს უცხოე-
რითა ღირსეულად გვარის შეილობით, ახლა კი.....



ეჭ, რალა ვსთქვა, რაც უთქვამთ მეცნიერთ ყველა მართალია, თქვენმა მზემ.

„ათასათ გვარი დაფასდა, ორი ათასად ზრდილობდა, თუ კაცი თითონ არ არის, ცუდია გვარი შეილობა“.

მეთევან. (ვითამც ანუგაქებს).

სწორეთ შევერთოთ ცოლი,

დედმამიანი ანუ ობოლი,

ქალაქში მყოფი, თუნდა სოფელში,

ლამაზი ქალი მოდის ამყოლი.

თქვენს ოჯახს კი არას გამოადგება, ის ყოველ-
თვის თავის ნებას შეასრულებს. ესლანდელი
ზოგიერთა ქალები სულ მოდას მისდევენ, სხვაზედ
არაზედ ზრუნავენ მხოლოთ მოდაზედ იყოს ჩაც-
მული გრძელი კაბის კუდით ფარშევანგივით, რომე-
ლიც ქართულ კაბას სრულელებით ამახინჯებს, მაგ-
რამ, რადგან ევროპის მოდა არის, უთუოთ ღდიდობ
ღირსება უნდა ჰქონდეს. ტყუილათ კი არ არის
ნათქვამი „წამწყმიდა წახედულობამაო“.

გამოსვლა მეორე

დურმიუხან, მეთევან და სოფიკო

(შემოვა სოფიკო თავდასურული ღემაქ-თასაკნაზით,
გაბა აცვია ქართულად წინ გაწობილი გულის პირით,
უკან გრძელს ბოლოს ათრქვს, წელამდი ნაოჭებს ასხმულს
და წელთან უმნოთ შარკივით რადანა ექვს გაკეთებული.
მხიარულის სახით მოდის, და უკრამს თავს ფეხების
ფრატყუნით.

სოფიკო. (კეკლურებით) ბიძიას ვახლოვარ, და-
ლუხსაც თავს დაუკრამ, როგორა ბრძანდებით?

ღურმიშხან. (აღესიით) თქვენის კითხვით როგორც ვეხედამ. (გადასჯდამს კაბის კუდს).

ჰოო, ეხლა ბრძანდები ახალ-მოდისა,

კაბა გაცვია ევროპეული,

თქვენ აღარ მოგწონთ ჩაცმა დედისა.

სიარული გაქვს ტან შერხეული.

აფრატუნებ ფეხებს, თქვენს მაღალ ქუსლიან ბაშმაკებს გააქვს ბაკა-ბუკი. ბაკ, ბუკ...

ჰეთეშან. (განცვიფრებული ორს თითს ტუჩებზე მიიფარებს) ჰა! ეგ რა შეგიკერამს? მაგ სიგრძე კუდი კაბისა გავიწყობა?! (სოფიკო საჩქის წინ მიტრიალ-მიტრიალდება და თან კუდზე იყურებს და კეკლუცობს).

სოფიკო. ძალუასმზეს სწორეთ მიბრძანეთ, მიხდება?

ჰეთეშან. კაი დაემართოს მაგის შემომღებს— კარგი რამ ეგ შემოიღეს: უწონო და უღალატო. ეგ კაბა აღარც ქართულია და არც ფრანციული. ნეტავი თქვენს პატრონს, რაღა უნდა?

ღურმიშხან. (სიცილით) ხა! ხა! ხა! უცხოთ შემამკო ქალო ძალუა თქვენმა.

სოფიკო. თქვენ ძველი დროსი ბრძანდებით, ახალი არა მოგწონთ რა; აბა რა სჭირს ცუდი? (გაიჟღის გამოიჟღის ტანის რსევით ნაწნაწათ და იყურება კუდზე საჩქეში).

ჰეთეშან. კაია ქალო, დაჯექ! გული ნუ გა-მიწვრილვ, თავი მეტკინა შენი ბაშმაკების ბაკაბუკით.



გამოსვლა მესამე

ივინიფე და მქიმბაში

(სოფიკო ჩამოჯდება ტახტზე ქეთევანთან, მუთაქაზე იდაუკ დაბჯინილი დასცქერია თავის კაბის კუდს. შემოვა ექიმბაში, წვერიანი თათარი მალაღის ქუდით, ახა წამოსმული; დაუკრამს თავს მძიმეთ ვეკლას, სხარსეთის ჩვეულებრივ იკონის სელზე, დაიდებს სელს შუბლზე და გულზედ. ქეთევან წამოადგება, დაუკრამს თავს და დაჯდება.)

ღურმიშხან. სალამ-ალექ, ჩემო ექიმბაშო.

მქიმბაში. ალექუმ სალამ, ჩემო ბათონო.

ღურმიშხან. დაბრძანდით აი აქ. (დაუდგამს წინ სკამს).

მქიმბაში. (დაუკრამს თავს) დიდი მადლობა, ბათონჯან. (დაჯდება და ჩამოისოფს წვერზე სელს)

ღურმიშხან. ქალო ქეთევან, ესა ბრძანდება ის ექიმბაში, გუშინ რომ გიანბე; საკვირველი გამოჩენილი ექიმია, ისპაანში არის გაზდილი: ისეთი გასაშტერებელი წამლობა თურმე იცის, რომ უშვილო-საც კი შვილს აყოლებს. უეჭველია ეს ჩვენ მიხაკოს მოარჩენს.

ქეთევან. ღმერთმა ინებოს, სხვა რაღა გვინდა.

ღურმიშხან. (ირონიით) ექიმბაშო, ამ ყმაწვილ ქალს გული უთრთის, ესტერიკა მოსდის ხოლმე, არა შეიძლება დაუყენოთ?

სოფიკო. ხუმრობა იქით იყოს, მართლა გულის ფრიალი ვიცი ხშირათ.

მძიმბაში (ჩამოისკვამს წვერზე სელს) მე დაეაღენებ, ქალბატონო ქი. ხელი მიბოძე, რამდენი კლისა ბძანდები? (გაუშინჯავს სელის გულს)

სოფიკო ცხრამეტის წლისა, მეოცეში ვღგე-ვარ.

მძიმბაში. (ჩამოისკვამს წვერზე სელს) ჰუ, მე ვიციქი სრული გრძობაში ბრძანდები, ახლა სკამზე დაბძანდი ქი გული ენახო. (დუშმისხან ღიმილით დადის, ქეთევანს ეცინება. ტუხებზე დაკუმშულ სელცასოცს იფარებს. სოფიკო დაჯდება წინ სკამზე, ექიმბაში უკან მოუდგება და ჯულზე სელს დაადებს).

სოფიკო. გულს ქი არ ვაეიხსნი, ისე გამშინჯე.

მძიმბაში. (ჩამოისკვამს წვერზე სელს) ჰუ, ვიცი ქი, თვენ ბევრს ფიქრობთ, ეს არ არი ქარქი, ფიქრი იობტურ, არ უნდა!

სოფიკო. დიახ, მე ბევრსა ვფიქრობ.

მძიმბაში. რათა, ქალბატონო, თქვენ ყმაცვილი ქალი, ლამიზი, შავი თვალეზი, ფირზე ხალი, როგორი ჩენი ისპაანის ქალეზი, ვისთენ ფიქრობ ქი?

სოფიკო. თქვენმა მზემ გამიარშიყდა. ექიმბაში ვისთენის თუ რისთენის ვფიქრობ?

მძიმბაში. (ჩამოისკვამს წვერზე სელს) ჰო, რათა ფიქრობ ქი, ძილი როგორია?

მეთეპან. (ღიმილით) რას ჩააცივდა ეს წვერია-ნი თათარი ამ ყმაწვილ ქალს? თქვენმა მზემ აღარ



ეშეება, გულიც მაგრა უჭირამს. (მიიფარებს ტუჩებს ხელსახოცს და ეცინება).

სოფიკო. ჩემთვის არც ძილია, არც მოსვენება: სულ გული თითქოს მიტრიალებს, ესტერიკა მამლის ხოლმე.

ეჭიმბაში. (ხამოისომს წვერზე ხელს) ვიცი, ვიცი ქი. ეგ რა ნიშანია, თქვენთვის დიდი საჩიროა ჩემი ცამალი, გულს ძალიან მოუხდება. (გამოიღებს უბიძამ კოლოფს, ამოიღებს შავი ზოწნით პატარა სამკურთხავს გაკერილს წითელს მიტკაღში, დაანახებს და კუთხის). ეს შეიბი დელზე, გულზე, ის რომ ნალამ ვისთინ თქვრობ ქი, თქვენი გული დადგება. (დურმიშსან და ქეთევან ველარ შეიკავებენ სიცილს და დაიწეებენ ხანხანს) ხა! ხა! ხა! ხა! ხა!..

სოფიკო. (წამოხტება სკამიდან) რას მიქარამს ეს წვერიანი თათარი? მე უნდა თილისმა შევიბა ყელზე, — რა მიდალიონის მაგიერია, ვინც მამამხედამს, ამას არ მეტყვის: მოლოების თილისმა შევიბამს, რა მორჩულობა გგონიაო. უკაცრაოთ ექიმბაშო, მე არა მჭირს რა, არც თქვენი ეშმაკეული ჯადო — თილისმები მინდა, ღმერთმა დამიფაროს.

დურმიშხან. (სიცილით) ხა! ხა! ხა! რათ ჯავრობ, ქალო, კარგათ შეგატყუ?

მათევეან. მიგიხვდასნეულებას, რას ემართლები, ხა! ხა! ხა! (განცვიფრებულს ექიმბაშს მოჭკიდეებს ხელს დურმიშხანს, დასხდებიან ცალკე სკამებზე, დურმიშხან უანბობს მისაკოს სნეულებას ჩუმათ, ექიმბაში



ქალღმერთს ჩამოისრომს ჩვერსე სელს და იმასის) ბუალი...
ბუალი...ბუალი...

სოფიკო. ამისთანა ექიმი, ძალუას მზემა, ისევ
თქვენ შეილს დააყენეთ, იმას უფრო მოუხდება,
რომ ცოლი შერთოთ, ხუმრობა კი არ არის გვარი
უმემკვიდროთ ამოწყდეს.

ჰეთეიან. ნუ ჯაერობ, ქალო, მოითმინე რა
გიანბო.

განა ჩვენ არ ვყოფილვართ ყმაწვილნი ქალნი,
ჩვენცა გეშვენოდა ლაწვებზედ ხალნი. *)

ბროლის ყელ-ყური, ლალის ფრად ბაგე;
ხუჭუქნი კენი, ყუყუნა თვალნი.

ჩვენც გვეყარებია საქრამო გულითა,
გულითა ერთობ დადაგულითა,
იმის დანახვა, ვით ცაში ელვა,
ტანში გვიელიდა გრძობის სულითა.

მაგრამ ჩვენ დროში ყველას ვითმენდით
და დედ-მამისას ნებას მივსდევდით.
ესტერიკები სულ არ გეცოდნია:
დაკრძალულ სახლში ჩუმათ ვისხედით.

*) ქველს დროში საქართველოს ქალებს ჩვეულებათ
ქონდათ განგებ გაიკეთებდნენ ლოყებსე სალებს,
თვალსს გამოიშურმამდნენ და ტუჩებს დაიფეკამდნენ
სპარსელების მიხამებით. მაგრამ სოფიკოს ზაწაწა პლას-
ტირი აკრამს ფერი მჭამელასე და თვალწარბი ბუნებით
შავი აქვს.



სოფიკო. რასაკვირველია ჩუმათ ისხდებოდით მთელი დღე მოკცილი უსაქმით ტახტზე. მართალია სხვა და სხვა წიგნების კითხვით დაილაღებოდით!

მეთევან. შენმა გაზდამ, თქვენსავეთ სარწმუნო წიგნებს ჩვენ არა ვკითხულობდით.

სოფიკო. რაც არა გქონდათრა, რას წაიკითხამდით?

მეთევან. მაგას რათ იტყვი, ქალო, ჩვენა გვაქვს „ვეფხისტყაოსანი“ მშვენიერის ენით დაწერილი რუსთაველისაგან, სიბრძნით საესე: სამღთოთი და საეროთი სრული. ამას გარდა „ვეისრამიანი“, „გულასპიანი“, „ქართლის ცხოვრება“, „ამირან დარეჯანიანი“, „დავით გურამიანი“, „ქილილა და მანანა“, „ყარამანიანი“, „ლეილიმ მეჯღლუმიანი“ „ჩარდავრიშანი“, „სიბრძნე სიცრუე“, „ქალვაჟიანი“ და კიდევ სხვა ბევრი, რომელი ერთი მოგითვალო თითები.

სოფიკო. თქვენი ქალვაჟიანი ეს გახლავს:

ვეეო, მევეო, ქალო ელენვეო,

პური და ღვინო ბევრია

ქორწილს მიზმენ მეეო. . . .

მეთ. თქვენსთანა მოჰიკვიკვს ენას მოკვეც მეეო.
(სოფიკო გაისაჩხარებს სიცილით, ჩამოჯდება ტახტზე ჩვეულებრივ იდაყვ დაყრდნობილი მუთაქასე).

გამოსვლა მეოთხე

იგინივე და მიხაკო

მიხაკო. (შემოკარდება, უკრამს ტაშს და იმღერის)

ჩვენი ვენახის ბოლოსა

ქალი ჰკრეფდა ლოლოსა;

ქალო, ნუ ჰკრეფ ლოლოსა

(სოფიკოს) მოგაგლეჯენ ბოლოსა.

დილილმეე, დილილმე, დილილმე და დილილმე.

სოფიკო. გავეცალო ამ სულელს, თორემ ეს ხომ გიჟია, ჩამაცივდება—ჩემი ცოლი ხარო, რა გავგება ჩემი მამიდა შეილობა. საცა მორთულს ქალს დაინახამს თავისი ცოლი ჰგონია, მამა სულ იმას ჩასძახის ცოლს შეგერთამო. (სოფიკო გაიზარება).

დურამიშხან. (შეტკეით) ჭკვიანათ იყავ, სწორეთ დაჯექ სკამზე. (მიხაკო შემინებულ მამისგან მოაკუნტება სკამზე, შესედამს ექიმბაშს გაშინჯამს თავით ბლღმდინ, და დაამთქნარებს. ექიმბაში გაუშინჯამს საქანრეს და ეტყვის).

ექიმბაში. პირი ვააღე, მიხაკ, ენა ქი ენახო. (მიხაკო კბილებს უკრეჭს) ენა ქი, ენა მაჩვენე. (მიხაკო ეღრიჯება)

დურამიშხან. (შეუტყვს) რას ეღრიჯები, ენა აჩვენე (მიხაკო გამოჭეოფს ენას).

ექიმბაში. (ჩამოისრომს წვერზე ხელს). ქარქი ბათონო, რამდენი ცლისა არის?





ღურმიშხან. ოცლა ორისა, მესამეში გადადგა
ებლა.

ქეთევან. ღიახ, თქვენმა მზემ, დიდ ხოლერო-
ბას ხომ არა მყენდა, მერე დაიბადა.

მამიბაუში. ამას, ბათონო, ქი ალი ყაეს ფათ-
რონი ცოლი, რომ ქალო იმღერებს, მე მალე მო-
ვარჩენ.

ღურმიშხან. (მსიარულის სსხით) ოლონდ ეს
მოშირჩინე ექიმბაუშო და რასაც მთხოვ საექიმოს, მე
არას დაეზოგამ რაც მბადაია ბევრი ექიმები
მოილალნენ და ვერა უშველეს რა, იქნება ღმერთმა
ინებოს და თქვენ მოარჩინოთ.

მამიბაუში. (სეკლებ გაშლილი ისედასმსდღას) ალლახ,
ღმერთი იცის ბათონო. უბრძანეთ ქი ცმინდა ცლა-
ლი მოიტანონ ჯამით.

ღურმიშხან. ქალო, ქეთევან, უბრძანე ბიქს
წმინდა წყალი მოიტანოს ვერცხლის ბაღით. (ქეთუ-
ვან გავა).

მამიბაუში. ახალ მთვარეზე ქი, როგორ არი,
(ჩამოისომს წვერზე სელს).

ღურმიშხან. ახალი და ძველი ისტოლ ერთია
მაგისტის, ზამთარ ზაფხულ ერთ ქუთაზე არის, ზოგ
ჯერ ანე გაჩუმდება, ზის თავისთვის და ამთქნარებს,
ნან გიჟობს ცელქობს არაფის კი არას აწყენს. შეიძ-
ლება ისე მოარჩეს, რომ ცოლი შეერთო?

მამიბაუში. თუ გინდ ათი მოილანო ქი, ფიქრი
არ არი.



დუკმიშხან. ჩვენში მაგდენი არ შეიძლება, ერთი უნდა იყოს გვირგვინის ცოლი.

ქაიხვაში. როგორი ადათია ქი. სულ გურგუნის ცოლი, გურგუნის ცოლი.

გამოსვლა მესუთე

ივინიფე და მოსამსახურე

(შემოვა ქეთევან, შემოჭყვება თან მოსამსახურე ბიჭი წყლით სავსე ვერცხლის ბადით, ბიჭი დასდგამს სტოლზე წყალს და შესცქერაინ ყველანი კქამბაშს განცვიფრებით. კქამბაში გამოიღებს ახის უბადამ ნიკროსკოპს, მრგვალ მინას და დაუწყებს იმითი კაგუნს ბადიას, თან ლოცულობს სმით).

ქაიხვაში. (ჩამოისრომს წვეწარზე ხელს) აზრებები, ზუფტრა, ზაქარ, იშმიშრამ ყულ აყრაბილა, ვართეილა, ვია ილილიუი ფილნუი, მოსვილაა. ინჯით ნუა ნუა ნუა (დაათარებს საჩქართ მინას ბადიას) ალაქი სულ აქ მოგროვდა ეშმაქები, მე დაეიჩირო ამისა ალი უღურე მილაქ ცლალში. (მისაკო ჩასკდამს და გაცვიფრდება, თვალებე გადატრიალებული დაანქერდება კქამბაშს სულელურათ).

მისბაქო. (ყვირის) არ მინდა, არა, არა, არა, არა, არა და არა.

ქაიხვაში. ქიდევ უღურე, კიდევ ქი, ქიდევ (მისაკო გატრეკულებდა, მოსამსახურე დაიჭერს ძალათ ჩასკდოს და თითონ უეცრათ ჩაისკდამს ბადიში, შუშინებული დაიღრიალებს და დაანებებს თავს მისაკოს).



მოსამსახურნი. ვაიმე დედავ, რა დაეინახე!!! გვე-
ლი, ანკარა, მატლები, ეშმაკებივით ირევიან წყალში.
ღურმიშხან. ნუ გეშინიან, ბიჭო თვალები და-
ხუტე, მაგრა იყავ.

მეთემან. (გაოცებული) სწორეთ. თქვენმა მზემ,
ამ საწყალს ბიჭს ეშმაკები მატლებათ ეჩვენა წყალ-
ში. (იწებს ჰიჯვარს) დამიყარე სახიერო, მაცხოვარო,
რამეთუ ჩემთანა არს ღმერთი.

მოსამსახურნი (დახუჭამს თვალებს მეტე ხახვს)
დასწყევლა ღმერთმა, კუდიანი ეშმაკები მებლანდე-
ბიან თვალებში.

ღურმიშხან. პირჯვარი დაიწერე შე ლაჩარო, შეა-
ტურთხე ეშმაკს, სთქვი ეიჯმნი ეშმაკისაგან თქო.

მოსამსახურნი. (ჰიჯვარს იწებს) ფუ ეშმაკო, ფუ
ეშმაკო, ეიჯ...ეიჯ....ეიჯმნი ეშმაკისაგან.

(დურმიშხანს და ქეთევანს უხარიათ ექიმბაშის ხელგუ-
ნება, იმედი აქვთ რომ უთუოთ მოურჩენს შვილს და აწვლე-
ბენ მისაკოს, რომ ძალათ ჩახხედან წყალში. ექიმბაში
ქეთევანს მისაკოს: თქვი შენ აღს რა ქვიან, რომელია.
მაშა უჯვარდება, ჩახხედე წყალშია დედა ეხვეწება ჩა-
ხხედე შვილგო, თქვი გენაცვალს დედა შენი, მოჩეები
ცოლს შეერთამთო, მისაკო გაკაკებული უტირამთ ექიმბაშს
და დურმიშხანს, ის მთელთამს, იჩიკს თავსა და ფეხებს,
უვირის არ მინდა, არ ვიცი არ ვიცი, არ ვიცი, არა, არა,
არა. ამ დროს ფარდა დაეშვება).

მომავალი მემკვიდრე

(ოთხნი სხადასრულდა, უკლებლივ ერთი და დღე-
გებულ ერთ მხარეს მშენებლის შინაგან მოთხოვნებზე
ხუჭურთმისა და კრატის დგას სუფთა ქვეშაგებით ატლას-
სის საბან გადამდილი. კრესტაში ზის მუქენტი, ქირმა-
ნი შაღის ხალათი ატვია, სიდამბლით ენა დაბმული
თრთის. სტოლზე ძვირფასი საათი დგას და წამლების
ბინები სუფთა ხელსაწმენდი და ზედ კერცხლის კოვზა,
დივანზე ჩამომკვდარი თინათინ შეჭურებს საათს. სო-
ფიკო დადის, მოდის კაბა ატვია და მალ-მალ იუროებს
კაბის კუდზე).


გამოსვლა ჰირველი

**მელანტი, თინათინ, სოფიკო, ლუკმიხუან
და ქეთევან.**

(შემოვლენ დურმიშხან და ქეთევან, სოფიკო მიე-
გებება სისარულით კარებშივე და მიიწვევს დიმილით.
თინათინ ფეხზე წამოუდგება ძველებურათ ჩამოვლილი რუ-
სულათ).

თინათინ. მობრძანდით, გენაცვალეთ, აგრე
უნდა ჩვენი დავიწყება, ერთხელ აღარა ნახეთ ეს

FS 697





საცოდავი დამბლა მოხუცებული, რომ ასე იტან-
ჯება და არა ეშველა რა?



ქათევან (მიესჯა მება თინათინს) თქვენმა სიცო-
ცხლემ, ჩემო მულო, ყოველთვის გესურდა თქვენი
ნახვა, მაგრამ ჩვენი შვილისგამო ველარ მოვიცალეთ,
მარტო თავი ვერ დავგინებებია; ცხლაც გული და
გონება იქითა მაქვს, მე შინიან არა იწყინოს რა.

ღურამიშხან. მელენტი ფილიპიჩი, როგორ ბრძან-
დები?

მელენტი. (გნავილით ახსენებს მადლს, ანიშნებს
ღმერთს ენა დაბმული).

თინათინ. თქვენი მტერი იყოს ისე, როგორც
ვგ არის: ერთი სული კი უდგია პირში, სხვა კეთი-
ლი არა სჭირს რა, ხელით ვაყენებთ, ხელით ვა-
წვენთ, ხელით ვასმევთ და ვაქმევთ, მაგისტის არა
იქნა რა, ჩვენთვის ყველა გაწყდა ქვეყანაზე. ამ ექი-
მებმა ხომ გაგეხიწნეს, ბატონო, გაგეხიწნეს: მოვლენ
დასწერენ რაღაც ორს სიტყვას და სამ მანეთს ვი-
ზიტის ფულს ვაძლევ, ნეტავი თქვენი სიცოცხლით
იმათი წამალი არგებდეს რასმე მაინცა, გახეთქეს
ქინაქინის სმით და მიქსტურათი! აბა თქვენი
ჭირიმეთ, ესენი რა სიღამბლის წამლებია.

ქათევან. თქვენმა სიცოცხლემ, ჩემო მულო,
მეც ბეზარს მომიყვანეს იმათ; კარგათ მოგეხსენება
შვილი მყავს გიჟი და სულელი დაბადებითვე; ექი-
მები კი დიდს იმედს მაძლევდნენ, რომ უთუოთ



მოვარჩინეთ: ხან კისერზე აკრამდნენ შპანცებს,
ხან ფეხის გულებზე გორჩიცას, კინალამ მომიკლეს
უსმელ-უჭმელი.

თინათინ. სწორეთ აკრე იციან, თქვენმა
მზემ, რალაც ეშმაკი დიეტა არის, ახერეთენ ცარიელ
წვენს ბულიონს ცოტა ბულკით, კუჭი უნდა გაუ-
წმინდოთ ავთამყოფსაო, კუჭი კი არა და ჯიბე და
ქისა ძალიან გაგვიწმინდეს, თქვენმა სიცოცხლემ,
იმათმა რეცებტებმა და ვიზიტებმა. ეჰ რალა გვეთქის.

ღურმიშხან. მელენტი ფილიპიჩ, კარგათ შეიქ-
ნებით, ღმერთი მოწყალეა, ფიქრი ნუ გაქვს, მორ-
ჩები!

მელენტი. (კნავილით აისედავს, მადლა ანიშნებს
ღმერთზე).

ღურმიშხან. აბასთუმნის ცხელს წყლებს აქე-
ბენ, უეჭველია თქვენ გარგებთ, გინდა წაგიყვანო?
წავიდეთ ერთათ, ბევრნი მადიან იქ ყოველ წელს
ზაფხულით უფრო დროს გასათარებლათ, კარგი
ჰაეა აქესო; ჩვენც კარგათ გავათარებთ დროს და
შევექცევით.

სოფიკო. რა შექცევის თაფი აქვს, კულუსუნი
ვერ აულია კრესლადამ, თუ ხელი არ მოვკადეთ!

ღურმიშხან. (ღიმილით) თქვენ ხომ კუდს კარ-
გათ ხმარობთ, რალა გინდათ. (მოუკიდებს შაჰარფსს).

თინათინ. (იროსიით) ესე ბატონო, ამ დროს
მოდის ქალია; ვითომც დიდი პატრიოტკა ბრძანდება

დედის სამშობლო ქვეყანა—საქართველო უყვარს; აბა გაშინჯეთ ამისი ჩაცმა-დახურვა, კარგათ დააქ-ქერდით; წინ თავით ფეხბამდინ ქართველია, უკან ევროპიელი. ენაცვალოს ბებია, რომ ყველა უხდება ამ ჩემს ქალს.

ღურმიშხან. (სიცილით) ხა! ხა! ხა! ეს კაბა ორყაბაზულია, ორინჯულია, ამისი პატრონი უცხოთ შეამკო თავისმა ძალუამ.

ქეთევან. თქვენმა სიცოცხლემ, ჩემო მულო, მე ვერა გავიგე რა ამ კაბისა, არც ქართულია, არც ფრანციტული; ნეტა რა მოხდენა უნდა ჰქონდეს ამ სიგრძე კულს და მოპრუწუღს ნაოკებს წელქვევით?!.... (ღურმიშხან და თინათინ იცინიან ხარხარით).

სოფიკო. (გულ მოსული) აი, ბატონო, შეიყარენით ძველი დროს ხალხი, ახალი სულ სასაცილოთ მიგაჩნიათ, რასაკვირველია თქვენ დროს რომ არა იყორა, ეხლა რასაც დაინახავთ, ყველა გაგიკვირდებათ. (სოფიკო დაიწეებს სიარულს ტანის რსევით, ხარხარით და იყურება კუდზე, სსკანი იცინა ხარხარით) ხა! ხა! ხა!

ღურმიშხან. (ირონიით) ჰოი, ჰოი, შეხედეთ ამ ქალს, როგორ უხდება კაბის გრძელი კული ფარშევანგივით, ხედამთ ამის სიარულს, გოგმანი კაკაბური აქეს!

სოფიკო. თქვენც აგრე ჩემო ძიავ! კარგი, კარგი, აგრე დამცინეთ, მე არ მეწყინება თქვენგან.

თინათინ. კაია ღედაშვილობას, ნუ ამტვერე აქაურობა მაგ კუდის თრევით, გეყოფა მაგდენი სიარული, ახლა კი წადი უბრძანე ყავა მოგვიტანონ. (სოფიკო გავა).

ქეთევან. ჩემო მულო, თქვენმა სიცოცხლემ, თუ ეგ არ გებრძანებინათ და არ გასულიყო, მე გული შემიწუხდებოდა, ნეტა რატომ ფეხები არა სტკივა იმდენი სიარულით და მალალი ქუსლიანი ბაშმაკების ბაკა-ბუკით.

თინათინ. ეგ რას გიკვირს, ჩემო რძალო, ეხლანდელმა ქალებმა ფეხებითაც კაცებს მიბაძეს და თავითაც, ზოგი ქალი კაცივით თმას იკრეკმს, ნიგილისტკა ვარო, დიდათ თავი შობს წონს.

ქეთევან. (განკვიფრებით წაბზუბ შუკრული) რაო?! უი ჩემ სიცოცხლესა, ინგილო რა თავის მოსაწონია, ნახევარი ქართველია, ნახევარი ლეკი. (იფინიან დუჭმაშხან და თინათინ საწახარით).

თინათინ. არა, ჩემო რძალო, ინგილო სხვაა, ნიგილისტკა სხვა არის, იმათ სულ კაცური ქცევა აქვთ, ეს მოდა ეხლა შემოიტანეს საქაც საქართველოში უცხო ხალხმა, ლამის ჩვენებმაც მიბაძონ, ზოგი რუსეთში გარბის, ზოგი წლის საფალზე.



ქეთევან. (მწუსხარის გულით) ვაი ჩვენს მოსწრებას! ამას იქით მაშ ჩვენი ქალები ჩვენათ აღარ უნდა გვეგულებოდეს...

დაგვეკება ქალების წართმევანი,
ვაია სოფლის მუხთლათ ყოფა, ქცევანი...

გამოსულა მეორე

იგინივე და ლაქია

(შემოვა სოფიკო, შემოქუება ლაქია, რომელსაც კერცლის ფოდნისით უავა-ნაღბით მოაქვს და სუსარ-კრენდილებით, ვეკლანი თავაზით აიღებენ, დაუწებენ სმას, ლაქია კარებთან აიტუზება და შესტქერია ვეკლას, რომ ჩამოართოს დაცლილა ფინჯნები).

დურმიზხან. ქალო, მამა თქვენს რატომ არ მოართმევთ ყავას?

თინათინ. არა, გენაცვალეთ, არ უნდა, თათრის წამალსა სემს.

დურმიზხან. როგორ თათრის წამალს, ვინ თათარი სწამლობს ეხლა?!

თინათინ. ამ თქვენი დისწულის რჩევა გახლავს, ვილაცა ექიმბაში, წვერიანი თათარი. რალასაც ტკბილს წითელ წამალს ასმევს და აყივლებს მამალივით ამ საცოდავ დამბლა მოხუცებულს. იმედს კი დიდს



აძლევს — მალე მოგარჩენო, ისე ილაპარაკებ, როგორც გილაპარაკნიაო.

ღურმიშხან. ხა! ხა! ხა! ეგ ის ცრუ ექიმბაში იქნება, მიხაკოს რომ დაეაყენე.

თინათინ. ღიახ, სწორეთ ის არის, მე რას ვიცნობდი, იმ ქალმა მომიტანა ამბავი, რომ ბიძიამ დააყენა მიხაკოსაო, ძალიან მიქო. ეს ხომ ვისაც აქებს ცამდინ აიყვანს და ვისაც აძაგებს ძირს მიწასთან გიასწორებს — ქვეშენელს ჩაგზავნის. მე ისე მომივიდა, როგორც ნაოქვამია წყალში დამხერჩვალის ხავს ექიდებოდაო“. მეტი რა ღონე მქონდა დაეიბარე და დაეაყენე იქნება მართლა იცოდეს რამე კარგათ უწამლოს! ისპაანში გაზდილიაო.

ღურმიშხან რა ბძანებაა, რის ისპაანი, მე მგონია თვალითაც არ უნახავს ის ქვეყანა, ეგ ერთი თავრიზის ლოთი ყოფილა დიდი მოქნილი თინბაზი, თოკიდან გამოპარული. ვაი მაგის დედას, რომ გვიან გავიგე მაგის ამბები და ვერ მიუხვდი აღრე, რომ ძვირფასი ნიკროსკოპი, წყალში წმინდათ აჩვენებს რაც შიგ ცხოველები არიან. საწყალი ჩემი მოსამსახურე ბიჭი კინალამ გამიგიჟა: როდესაც მიხაკოს ძალათ ახედებდა წყალში ნიკროსკოპით, უეცრათ თითონ ბიჭმა ჩახედა და საშინლათ დაიღრიალა: „ვაიმე დედაე ეშმაკებივით ირევიანო წყალში“ ეს ყიზილბაშური თინბაზობა როცა შევიტყე ნამდვილათ,

ღეთის წყალობა თქვენა გაქვსთ მე ის კინწის კვრიო
და პანღუ რის ცემით გამოუაგდე ჩემი სახლი ღვან.

თინათინ. (განცვიფრებულად) მართლა ამბობ
მაგასა? მაშ ექიმბაში არ არის?

ღურმიშხან. მართლა, დედა ჩემი არ წამიწყდეს!
მამი ჩემი საფლავს გეფიცები, ეგ არც ექიმბაშია,
არც მოლა ბაირამ-ოღლი, იცით კიდევ მაგისი ანბე-
ბი რას შერებოდა სოფლებში: საწყალს უშვილო
გღენი კაცის ცოლებს ატყუებდა, ისეთ წამალს
მოგცემთ, რომ შვილი გეყოლოსო“. ართმევედა შავს
უნისნო ვარიებს, დაჰკლამდა თითონევე ბუტბუტით
ვითომ ლოცულობდა, იმ ვარიების სისხლი დაბლაჰ-
ნიდა ქალღს და შეაბამდა წელზე მხეარში გაკე-
რილს, ვარიებსკი თითონ მიირთმევედა. სამ დღესა
და ღამეს ასე ჰყვანდა მარტოსახლში, ქმარი გარეთ
ყარაულათ ადგა. აი ასეთი ექიმბაში გახლავს ეგ
ოინბაზი.

თინათინ. იქნება მართლა! აბა ნახეთ ეს იმის
წამალი, გაშინჯეთ კარგათ, თქვენ უფრო შეატყობთ,
რა უნდა იყოს. ჩვენც ხომ არ გვატყუებს?

ღურმიშხან. (სახამს ენით კაკვსზე) ეს ყინვარე
შაქრის წვეწასა გავს. (გასრესს თითებით) ესეც სახა-
მებელი უნდა იყოს, სიწითლის გულისთვის ჭიაფე-
რშია გაკეთებული. ხა! ხა! ხა!



თინათინ. (განცვიფრებით) აბა მაჩვენე! (გასწმენდს კოვზს და ნახამს ეგრეთვე) სწორეთ, თქვენმა მშემ, აგრე უნდა იყოს, კარგათ შეატყე, აბა თქვენც გაშინჯეთ, ჩემო რძალო!

ქეთევან. (ეგრეთვე) ქა, ხედამ რა მოუგონია იმ უკეთურსა! ვაი ჩვენი ბრალი, თუ სხვებიც სულ ასე გვატყუებენ!?


ღურმიშხან. მაშ არადა—უკვდავების წამალია იმათი მიქსტურა....

თინათინ. კიდევ ეგ არის, რომ სულ ამგვარი წამლებით ვიტანჯებით, რა უჭირდა ჩვენს ძველს კარაბადინს, რას არ იპოვით იმაში, მაგრამ ახლა სხვა დროა და სხვა ხალხი, „ციკინათელაც სინათლეს მისდევსო“, ვითომც ჩვენ ბნელაში ვიყავით და ეხლა ყველა სწავლას და განათლებას ეცდილობთ.

ქეთევან. ნეტავი აგრემც იყოს, რა ურიგია ჩვენი ქვეყნისათვის, განა სწავლა მოსჭარბდება ადამიანს სიკვდილამდისა?

ღურმიშხან, დიახაც კარგია კაცმა ყველა იცოდეს, მაგრამ თქვენი ექიმბაში როდის მოზრძანდება? ეს უფრო საჭიროა ეხლა ჩემთვის, რომ რაც შეეძლოს სახლში დავაკელ, ის აქ შევეუსრულო.

თინათინ. (შეხედავს საათს.) თორმეტი საათია სრული, ყოველთვის ამ დროს მოდის, თქვენთვის



მომინდვია იმისი საექიმო ფასით დაკმაყოფილება, ახ-
ლა თქვენ იცით, როგორც მოექცევით.

დურმიშხან. (მუქარით) მე დავაკმაყოფილებ
იმას კარგათ თქვენ ნუ შესწუხდებით!

თინათინ. როგორ გაბედდა იმ მაწანწალამ ამის-
თანა ოინაბაზობა ჩვენთანა?

დურმიშხან. ის კაცი თავიდან ხელ აღებული
ლოთია, არას დაგიდევს მაგას თუ თქვენ პოლ-
კოენიკის ცოლი ბრძანდებით და მე დიდი
მებატონე, ჩვენი ღირსება იმას ჩალათაც არ მიაჩ-
ნია.

გამოსულა მესამე.

ივანივე და მეორე ლაქია.

(შემოვა მეორე ლაქია, იმის სიტყვებზე დურმიშხან
და ქეთევან დაიწეებენ ფატი-ფუტს და დაიძალებიან შიჩ-
მას უკან).

მეორე ლაქია. ეჭობაში გიანლათ, უღრო არის
ბატონი ენაზოვო?

თინათინ. შემოვიდეს, კარები გაულე და შენ
კი აქ მოიტადე.

დურმიშხან, (შიჩმიდამ გამოაჭყოფს თავს) მობ-
რძანდეს, კაი საექიმოს მიიღებს (მხსამსახურე გააღებს)

კარებს, ექიმბაშია შეიკვავ ახა წამოსსმული ქუდით; ჩვეუ-
ლებრივ დაუკრამს თავს უკვლას, დადგება კრესლასთან,
დაქიება კარებთან დგანან მსხათ აქეთ-იქით).

ექიმბაში. სალაქ აელქ, ბატონჯან! ქეთუნ
იალში დურ ხორაშ?

მელენტი. (ენაველით აიხედამს მალა. ანიშ-
ნებს ღმერთზე).

ექიმბაში. ცამალი ქი მიირთო, ქალბატონო?

თინათინ. (უკრამს წარბებ შეკრული) ჰოო, მი-
ირთო.

სოფიკო. დიახ, კარგათ მიირთო, სულ დაცა-
ლა თქვენი წამალის მინა.

ექიმბაში. (ამაყად ჩამოისრამს წვერზედ სელს)
იალშიი, იალშიი, იალში, (ჩამოისრამს წვერზედ სელს)
აბა, ბათონოჯან, ენახოთ ქი ხმა როგორ გაიცმინ-
და—ბძანე: ნას—რადი—შაა.

მელენტი. (თრთოლით) კუც—კუ—კუუუუუუ...
...

ექიმბაში. იშ ალლაზეირია, ბათონოჯან, ქარ-
გია, ქიდევა. ნას—რადი—შააას.

მელენტი. (თრთოლით) კუკ—კუ—კუუუუუუ...
...

ექიმბაში. (ჩამოისრამს წვერზედ სელს) იშ ალ-
ლა ხეიროლ სუნ, ძალიან ქარქი, კიდევა, ქიდევ-
ნას—რადი—შაააას.

მელენტი (თრთოლით) კუკ—კუ—კუუუუუუ...
...

ექიმბაში. (მხიარულად და სელსების გაშლით)
იშალოლა, იშალოლ, იშალოლა. (ამ დროს გამოვლენ
შირშიაღამ დურშიშხან და ქეთუკან).

ღურმიშხან. იშალლა, თქვენ რომ ტყუილი ექიმბაში ბრძანდები? აბა სტაცეთ ხელი, — დაჰკარით! (ექიმბაში განცვიფრებული შესედაძს, იცნობს და ელდა ეტება, დაქიები სტაცებენ ხელს, დადრეკენ და დაუწეებენ ზურგზე ბრავაბრუგს მუშტებით).

ექიმბაში. მე ამისთანა საექიმოს არ ვიღებ, ბათონჯან, არ მინდა!....

თინათინ. როგორც ექიმბაში ბრძანდები, ისეთ საექიმოს გაძლევთ, დაჰკარით.

ექიმბაში. მე ექიმბაში არა ვარ, ქალბატონო, მოლა ვარ, მოლა!....

მეთეპან. ქა! ხედამთ ამასა, ახლა უარს ანბობს. დაჰკარით!

ექიმბაში. სწორე შეითხე, ქალბათონო, ვინა ვარ, ნუ მოკალ!

ღურმიშხან. ეყოფა. მაშ ვინა ხარ, სწორეთა სთქეი!

ექიმბაში. მე ვარ თავრისის ლოთი, ჩვენი ხელობა არი თლუილი მოიგონო, ფულები იშოვენო, ღინო დალიო, ქეიფი გასციო.

ღურმიშხან. აკი მოგახსენეთ თავრიზის ლოთია მეთქი, მიყურეთ ეხლა როგორ ვახტუნო და ვაყვირო. ექიმბაშო, რადგან ლოთი ყოფილხარ, დარდიმანდიც იქნები, თამაშობა გეცოდინება.

მძიმბაში. (შეშინებულად) ბუალი ბათონჯან,
ვიცი, თაშ თაში.

(უკან ტაშ სიცილით, ექიმბაში თამაშობს აბა
წამოსხმულად).

ღურმეზხან. სოფიკო, შენც გაეთამაშე, მამა
თქვენს იამება. ვინძლო აჯობო. (თამაშობენ ორნი,
სოფიკო ვახის გრძელის კუდით, ექიმბაში აბით, რა-
დესაც ვახთავენ ექიმბაში დაუყრამს თავს და ეტყვის:
თქვენი გამარჯვებისა იყოს!)“

ღურმეზხან. ექიმბაშო ახლა იმღერე, სპარსე-
ლი ხარ და ლოთს სიმღერაც გეცოდინება.

მძიმბაში. (ჩამოისრამს წვერზედ სელს ამაყად)
ბუალი, ბათონჯან, ვიცი ქი. (იმღერის სელის სმა-
რებით).

ექიმო თუ გაქვს ამალი, იარი იარალი,
სცადე ეს ჩემი ცამალი, თარი იარალი.
რა სენი უმქურნალოა, იარი იარალი,
ღინოა მისი ცამალი, თარი იარალი.

(დაუყრევს თავს მძიმეტ, სხვანი იცინიან და ხაწ-
ხაწობენ).

ღურმეზხან. ექიმბაშო, სწორეთ ლოთი ყო-
თილხარ, ჟმელას რაც აგონდებოდა ის ეზმანებო-
დაო“.

მამიკაში. (შეშინებული) ბუალი ბათონ
ჯან!

მეთევან. რალასა სტანჯამ ამ უბედურს, დაეხ-
სენ გაგვეცალოს.

თინათინ. ახა მაგაზე, კელავ გაფთხილდება.

მამიკაში. ბუალი, ქალბათონო!

ღურმიშხან. ახლა კი წაბძანდი, გეთ, გეთ!
სადაც შენი ოინბაზობა სთქვა, იქ ჩენც მოგვი-
გონე.

მამიკაში. ბუალი, ბათონჯან. (ჩამოისრამს წვერ-
ზედ ხელს, დაუკრამს თავს ჩვეულებრივ თვითოეულად
ჟველას და გაგა).

თინათინ. (მწუხარის გულით). აბა, თქვენი ჭი-
რიმეთ, როგორ უნდა იცხოვროს ადამიანმა ამისთა-
ნა ცრუ და უსინიდისო და გაუნათლებელს ხალხში;
ვის მიენდობით და ვისგან ინუგეშებთ შეწუხებული.
სულ მოტყუება და ოინბაზობა არის, რაც უნდა
მდიდარი იყოთ, ვერცხლითა და ოქროთი მაინც
ვერ მოიპოვებთ ამ სოფელში მყუდრო პატიოსან
ცხოვრებას.

მეთევან. (გულ ნაკლული) ეჰ, ჩენი სიმდიდრე
სულ ამოა თქვენმა მზემ.

ღურმიშხან. (წამოდგება წინ და იტყვის გულ
ტკივნეულით.) ეჰ, მართლად უთქვამს გონიერს:



„ამა სოფლისა ცხოვრება,
ვერცხლით არ მოიპოება,
მდიდარნიც ბევრნი ყოფილან
ოხრად რჩენიათ ქონება“.

(დუშენის დაუკრამს თავს ჰუბლიკას და ფაჩდა
დაეშეება).





ვ ე ფ ხ ე ი ს ტ ყ ა ო ს ა ნ ი შოთთა რუსთვე-
 ლისა. მეექვსედ დაბეჭდილი ავტორის სუ-
 რათით ფასი — — — — — ათი შაური,
 ლ ო ც ვ ა ნ ი ყოველდღე სათქმელნი, გამო-
 ცემა მეორე, ფასი — — — — ერთი შაური.
 ს უ რ ა მ ი ს ც ი ხ ე მოთხრობა დანიელ
 ქონქაძისა, ფასი — — — — — ერთი აბაზი.
 ს ა მ ი ჯ ნ უ რ ო მ ი წ ე რ - მ ო წ ე რ ა ქ ა ლ -
 ე ა ჟ ის ა, ფასი — — — — — ერთი შაური.
 ე თ ე რ ი ა ნ ი, აბესალომ და ეთერის ამბავი,
 შედ. პ. უმიკაშვილისაგან, ფასი — ერთი შაური.
 ჭ ი ა ნ უ რ ი, გამოცემა პირველი, ფასი ორი შაური.
 დ რ ო ე ბ ი ს კ ა ლ ე ნ დ ა რ ი, ფასი ორი შაური.
 მ გ ო ს ა ნ ი შეთხზული და გამოცემული
 დავით გიგიშვილისაგან, ფასი — — ერთი აბაზი.
 ბ ა ზ ა რ ი, ლექსები შედ. და გამოცემული
 ამავე ავტორისაგან, ფასი — — — ორი შაური
 ს ა ყ მ ა წ ე ი ლ ო კ ო ნ ა, შედგენილი ი.
 გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ის ა გ ა ნ ფასი — — ექვსი შაური.
 ლ ე ქ ს ე ბ ი ს ა ხ ა ლ ხ ო ს ი მ ლ ე რ ე ბ ის ა გ ა ნ შედ-
 გენილი პ. უმიკაშვილისაგან, ფასი ერთი შაური.
 ყ ა რ ა მ ა ნ ი ა ნ ი კ ა რ ი პ ო რ ვ ე ლ ი და მეორე,
 გამოც. დ. ლაზარევისა და ნ. კობალაძი-
 საგან, ფასი თითო კარისა — — ექვსი შაური.
 ყ ა რ ა მ ა ნ ი ა ნ ი მ ე ს ა მ ე კ ა რ ი ფასი ორი აბაზი.
 ს ი ბ რ ძ ნ ე ს ი ც რ უ ი ს წ ი გ ნ ი, თქმული
 საბა სულხან ორბელიანისაგან გამოცე-
 მული პ. უმიკაშვილისაგან ფასი ათი შაური.



58

თ. გრ. ორბ. ლექსები გამოც. პ. უმი-
 კაშვილისაგან ფასი — — — ათი შაური.
 დავითიანი თქმული გურამიშვილისაგან
 წიგნი ბრველი, ფასი — — — ათი შაური.
 საქართველო, პირველი რვეული, შე-
 სავალი. კავკაზია, თხზულება დიმ. ბაქრა-
 ძისა, ფასი — — — ათი შაური.
 ბავშვების მოვლა, ა. კომბისა თარგმნი-
 ლი ვას. მაჩაბლისაგან, ფასი — — ათი შაური.
 სამხარეულო წიგნი, შედ. კნ. ბარბარე
 ჯორჯაძისაგან, ფასი — — — ათი შაური.
 ბუნების კარი დაბალ კლასებში სახმა-
 რებელი, შედგენილი იაკ. გოგებაშვილი-
 საგან ფასი — — — ცამეტი შაური

10/26

ქალაქს გარეთ ვისაც წიგნების დაბარება უხდა ამ
 ადრესით მოითხოვონ:

Въ Тифлисъ, книжный магазинъ г. Калан-
 дадзе на Михайловскомъ мосту въ домѣ Мир-
 зоева.

კალანდაძის, ნერსესოვის და სელაძის გამოცემულ წიგ-
 ნებს ვინც სუთ მანეთზე მეტს დაიბარებს მანეთში ორი
 შაური მიეცემა. სსკა წიგნებში ფოტის ფული არ
 გადასდება.

Дозволено Цензурою Тифлисъ, 12-го Января, 1876 г.